

**„უსინათლო, მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის
შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირთათვის ბეჭდურ ნაწარმოებზე
მისაწვდომობის გამარტივების შესახებ“ მარაკემის ხელშეკრულება**

სარჩევი

პრეამბულა

მუხლი 1: მიმართება სხვა კონვენციებთან და ხელშეკრულებებთან

მუხლი 2: განსაზღვრებები

მუხლი 3: ბენეფიციარები

მუხლი 4: შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვები და
გამონაკლისები მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარებთან მიმართებით

მუხლი 5: მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების ტრანსსასაზღვრო გაცვლა

მუხლი 6: მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების იმპორტი

მუხლი 7: ტექნოლოგიურ ზომებთან დაკავშირებული ვალდებულებები

მუხლი 8: პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მუხლი 9: თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო გაცვლების ხელშეწყობის მიზნით

მუხლი 10: განხორციელების ზოგადი პრინციპები

მუხლი 11: ზოგადი ვალდებულებები შეზღუდვებთან და გამონაკლისებთან მიმართებით

მუხლი 12: სხვა შეზღუდვები და გამონაკლისები

მუხლი 13: ასამბლეა

მუხლი 14: საერთაშორისო ბიურო

მუხლი 15: ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლებამოსილება

მუხლი 16: ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები

მუხლი 17: ხელშეკრულების ხელმოწერა

მუხლი 18: ხელშეკრულების ძალაში შესვლა

მუხლი 19: ხელშეკრულების მხარედ გახდომის ძალაში შესვლის თარიღი

მუხლი 20: ხელშეკრულების დენონსაცია

მუხლი 21: ხელშეკრულების ენები

მუხლი 22: დეპოზიტარი

* წინამდებარე ხელშეკრულება მიღებულ იქნა დიპლომატიური კონფერენციის მიერ, რომელიც გაიმართა 2013 წლის 27 ივნისს, მხედველობადაქვეითებული და ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე პირთათვის ბეჭდურ ნაწარმოებზე მისაწვდომობის გამარტივების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით. (თანდართულია დანართის სახით)

პრეამბულა

ხელშემკვერელი მხარეები,

ეყრდნობიან რა არადისკრიმინაციულობის, თანაბარი შესაძლებლობების, წვდომისა და საზოგადოებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და ჩართვის პრინციპებს, რომლებიც გაცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში,

მხედველობაში იღებენ რა გამოწვევებს, რომლებიც ზიანს აყენებს მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირთა სრულყოფილ განვითარებას, რაც ზღუდავს მათი თვითგამოხატვის თავისუფლებას, მათ შორის, თავისუფლებას მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ყველა სახის ინფორმაცია და იდეები სხვებთან თანასწორად, მათ შორის, მათ მიერ არჩეული კომუნიკაციის ყველა ფორმის გამოყენებით, განათლების უფლებით სარგებლობას და სამეცნიერო კვლევების ჩატარების შესაძლებლობას,

ხაზგასმით აღნიშნავენ რა საავტორო უფლებების დაცვის, როგორც ლიტერატურული და მხატვრული შემოქმედების სტიმულისა და ჯილდოს, ასევე საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის, ხელოვნებით ტკბობისა და სამეცნიერო პროგრესის შედეგებითა და სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობათა გაფართოების მნიშვნელობას ყველასთვის, მათ შორის, მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებისთვის,

აცნობიერებენ რა ბარიერებს, რომლებიც აფერხებს მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირების წვდომას გამოქვეყნებულ ნაწარმოებებთან, საზოგადოებაში თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციის მიზნით, და როგორც მისაწვდომ ფორმატებში ნაწარმოებების რაოდენობის გაზრდის, ისე ამგვარი ნაწარმოებების გავრცელების გაუმჯობესების საჭიროებას,

ითვალისწინებენ რა, რომ მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირების უმრავლესობა ცხოვრობს განვითარებად და ყველაზე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში,

აღიარებენ რა, რომ საავტორო უფლებათა მარეგულირებელ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობებში არსებული განსხვავებების მიუხედავად, საერთაშორისო დონეზე ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის გაუმჯობესებამ შეიძლება გააძლიეროს ახალი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დადებითი ზემოქმედება მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირების ცხოვრებაზე,

აღიარებენ რა, რომ ბევრმა წევრმა სახელმწიფომ საავტორო უფლებების მარეგულირებელ თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში დააწესა შეზღუდვები და გამონაკლისები მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებისთვის, მაგრამ ჯერ კიდევ სახეზეა არსებული ნაწარმოებების ნაკლებობა ამგვარი ადამიანებისთვის მისაწვდომ ფორმატში, და რომ მნიშვნელოვან რესურსებს საჭიროებს მათი ძალისხმევა, მისაწვდომი გახადონ ეს ნაწარმოებები ამ პირებისთვის, და რომ მისაწვდომ ფორმატში არსებული ეგზემპლარების ტრანსსასაზღვრო

გაცვლის შესაძლებლობების არარსებობა განაპირობებს აღნიშნული ძალისხმევის გაორმაგების აუცილებლობას,

აღიარებენ რა საავტორო უფლების მფლობელთა როლის მნიშვნელობას, უზრუნველყონ თავიანთ ნაწარმოებებზე მისაწვდომობა მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებისთვის, ისევე, როგორც შესაბამისი შეზღუდვებისა და გამონაკლისების დაწესების მნიშვნელობას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისაწვდომობა ნაწარმოებებზე ამ პირებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ამგვარ მისაწვდომობას,

აღიარებენ რა, რომ აუცილებელია ბალანსის შენარჩუნება საავტორო უფლების მფლობელთა უფლებების ეფექტიან დაცვასა და ფართო საზოგადოების ინტერესებს შორის, განსაკუთრებით, განათლების, სამეცნიერო კვლევისა და ნაწარმოების მისაწვდომობის სფეროში, და რომ ამგვარმა ბალანსმა ხელი უნდა შეუწყოს ნაწარმოებებთან ეფექტიან და დროულ მისაწვდომობას, რაც ემსახურება მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირების ინტერესებს,

ადასტურებენ რა საავტორო უფლებების დაცვის შესახებ არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში ხელშემკვრელ მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებებს და სამსაფეხურიანი შემოწმების მნიშვნელობას და მოქნილობას იმ შეზღუდვებთან და გამონაკლისებთან მიმართებით, რომლებიც დადგენილია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებით,

ითვალისწინებენ რა განვითარების დღის წესრიგის რეკომენდაციების მნიშვნელობას, რომლებიც მიღებულ იქნა 2007 წელს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) გენერალური ასამბლეის მიერ და რომელთა მიზანია უზრუნველყოს, რომ განვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები იქცეს ორგანიზაციის საქმიანობის განუყოფელ ნაწილად,

აღიარებენ რა საავტორო უფლებათა საერთაშორისო სისტემის მნიშვნელობას და სურთ რა შეზღუდვებისა და გამონაკლისების ჰარმონიზება, რათა მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებისთვის უზრუნველყონ მისაწვდომობა ნაწარმოებებზე და მათი გამოყენება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მიმართება სხვა კონვენციებთან და ხელშეკრულებებთან

წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი პუნქტი არ ზღუდავს რომელიმე ვალდებულებას, რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ რომელიმე სხვა ხელშეკრულებების ფარგლებში, ასევე, ხელშემკვრელ მხარეთა უფლებებს, რომლებიც მათ ენიჭებათ ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით.

მუხლი 2

განსაზღვრებები

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის:

(a) „ნაწარმოები“ ნიშნავს ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებებს, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-2 მუხლისპირველი პუნქტის მნიშვნელობით, ტექსტის, სანოტო ჩანაწერის და/ან მათთან დაკავშირებული ილუსტრაციების ფორმით, იქნება ის გამოქვეყნებული თუ საზოგადოებისთვის სხვაგვარად მიწოდებული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით;¹

(b) „ეგზემპლარი მისაწვდომ ფორმატში“ ნიშნავს ნაწარმოების ეგზემპლარს ალტერნატიული სახით ან ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმოებთან ბენეფიციარის წვდომას, ასევე აძლევს მას შესაძლებლობას, ჰქონდეს ისეთივე რეალური და კომფორტული წვდომა, როგორიც აქვს მხედველობადაქვეითებულ ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის არმქონე პირს. ეგზემპლარი მისაწვდომ ფორმატში გამოიყენება ექსკლუზიურად ბენეფიციარის მიერ დამასში დაცული უნდა იყოს ორიგინალი ნაწარმოების მთლიანობა, ამასთან, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია, რათა ნაწარმოები იყოს მისაწვდომი ალტერნატიულ ფორმატში და ბენეფიციარის მისაწვდომობასთან დაკავშირებული საჭიროებები;

(c) „უფლებამოსილი ორგანო“ ნიშნავს ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია ან მთავრობის მიერ აღიარებულია ორგანოდ, რომელიც ბენეფიციარებს არაკომერციულ საფუძველზე უზრუნველყოფს განათლებას, პროფესიულ სწავლებას, ადაპტიურ კითხვასა და ნაწარმოებზე წვდომით. ეს ორგანო ასევე მოიცავს სამთავრობო დაწესებულებას ან არაკომერციულ ორგანიზაციას, რომელიც ბენეფიციარებს უწევს ანალოგიურ მომსახურებებს, რაც წარმოადგენს მის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას ან ინსტიტუციურ ვალდებულებას.²

უფლებამოსილი ორგანო განსაზღვრავს და ეყრდნობა თავის საკუთარ პრაქტიკას, რათა:

(i) დაადგინოს, წარმოადგენენ თუ არა ბენეფიციარებს ის პირები, რომლებსაც ის ემსახურება;

(ii) მისაწვდომ ფორმატში ეგზემპლარების გავრცელება და მათი ხელმისაწვდომობა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ბენეფიციარებით და/ან უფლებამოსილი ორგანოებით;

¹ შეთანხმებული განცხადება მე-2 მუხლის „a“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით: წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, ეს განსაზღვრება მოიცავს ნაწარმოებებს აუდიო ფორმატში, როგორიცაა აუდიო წიგნები.

² შეთანხმებული განცხადება მე-2 მუხლის „c“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით: წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, „ორგანოები, აღიარებული მთავრობის მიერ“ შეიძლება მოიცავდეს ორგანოებს, რომლებიც მთავრობისგან იღებენ ფინანსურ დახმარებას, რათა ბენეფიციარები უზრუნველყონ განათლების, პროფესიული სწავლების, ადაპტიური კითხვის სერვისებთან ან ინფორმაციასთან წვდომით არაკომერციულ საფუძველზე.

(iii) აღკვეთოს არასანქცირებული ეგზემპლარების კვლავწარმოებას, გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას; და

(iv) ნაწარმოებების ეგზემპლარებზე მუშაობისას გამოიჩინოს სათანადო ყურადღება და აწარმოოს ჩანაწერები, ამავე დროს, დაიცვას ბენეფიციარების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 3

ბენეფიციარები

ბენეფიციარს წარმოადგენს პირი:

(a) რომელიც არის უსინათლო;

(b) რომელსაც აქვს მხედველობის დაქვეითება ან ალქმის ან კითხვის შეზღუდული უნარი, რომლის გამოსწორება შეუძლებელია ისე, რომ მხედველობის ფუნქცია იყოს მნიშვნელოვანწილად იმ პირის მხედველობის ფუნქციის ეკვივალენტური, რომელსაც არ გააჩნია ამგვარი დარღვევა ან შეზღუდული შესაძლებლობა, და ამის გამო მას არ შეუძლია დაბეჭდილი ნაწარმოების წაკითხვა ისეთივე ხარისხით, როგორითაც იმ პირს, რომელსაც არ გააჩნია ამგვარი დარღვევა ან შეზღუდული შესაძლებლობა; ან³

(c) რომელსაც სხვაგვარად არ შეუძლია, ფიზიკური შეზღუდულობის გამო, ხელში დაიკავოს ან მოიხმაროს წიგნი, ან მოახდინოს მხერის ფოკუსირება ან თვალეზი ამოძრავოს ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ მისაღებია კითხვისთვის, მიუხედავად ნებისმიერი სხვა შეზღუდული შესაძლებლობისა.

მუხლი 4

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვები და გამონაკლისები მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარებთან მიმართებით

1. (a) ხელშემკვრელი მხარეები საავტორო უფლებების მარეგულირებელ თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გაითვალისწინებენ შეზღუდვას ან გამონაკლისს კვლავწარმოების უფლებასთან, გავრცელების უფლებასთან და საჯარო მისაწვდომობის უფლებასთან მიმართებით, როგორც ამას ითვალისწინებს საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულება (WCT), რათა უზრუნველყოფილ იქნას ბენეფიციარებისთვის ნაწარმოებების ეგზემპლარების მისაწვდომ ფორმატში არსებობა. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვა ან გამონაკლისი უნდა ითვალისწინებდეს ისეთი ცვლილების შეტანის შესაძლებლობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა ნაწარმოები ხელმისაწვდომი იყოს ალტერნატიულ ფორმატში;

³ შეთანხმებული განცხადება მე-3 მუხლის „b“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით: მოცემულ ფორმულირებაში არანაირად არ იგულისხმება, რომ „გამოსწორება შეუძლებელია“ მოითხოვს ყველა შესაძლო სამედიცინო-სადიაგნოსტიკო პროცედურისა და მკურნალობის მეთოდის გამოყენებას.

(b) ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ ასევე გაითვალისწინონ შეზღუდვა ან გამონაკლისი საჯარო შესრულებასთან მიმართებით, რათა ბენეფიციარებს გაუმარტივდეთ ნაწარმოებებთან წვდომა.

2. ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეასრულოს მე-4 მუხლის პირველი პუნქტი მასში მითითებულ ყველა უფლებასთან მიმართებით, საავტორო უფლებების მარეგულირებელ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შემდეგი შეზღუდვის ან გამონაკლისის გათვალისწინების გზით:

(a) უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე დაამზადონ ნაწარმოების ეგზემპლარი მისაწვდომ ფორმატში, მოიპოვონ სხვა უფლებამოსილი ორგანოსგან ეგზემპლარი მისაწვდომ ფორმატში და აღნიშნული ეგზემპლარები ბენეფიციარებს მიაწოდონ ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, არაკომერციულ საფუძველზე დროებითი გადაცემის გზით, ან როგორც სადენიანი, ისე უსადენო ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით, და მიიღონ ნებისმიერი შუალედური ზომა აღნიშნული მიზნების მისაღწევად, თუ შესრულებულია ყველა ქვემოთმოცემული პირობა:

(i) უფლებამოსილ ორგანოს, რომელსაც სურს ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელება, გააჩნია კანონიერი წვდომა ამ ნაწარმოებთან ან ამ ნაწარმოების ეგზემპლართან;

(ii) ნაწარმოები გარდაქმნილია მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარად, რომელიც შეიძლება მოიცავდეს მისაწვდომ ფორმატში ინფორმაციის აღსაქმელად საჭირო ნებისმიერ საშუალებას, მაგრამ არ მოიცავს ცვლილებებს, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რათა ნაწარმოები იყოს ბენეფიციარისთვის მისაწვდომი;

(iii) ამგვარი მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარები განკუთვნილია ექსკლუზიურად ბენეფიციართა მიერ გამოყენებისთვის; და

(iv) ეს საქმიანობა ხორციელდება არაკომერციულ საფუძველზე;

და

(b) ბენეფიციარს ან პირს, რომელიც მოქმედებს მისი სახელით, მათ შორის, ძირითად მზრუნველს ან მომვლელს, შეუძლია დაამზადოს მისაწვდომ ფორმატში ნაწარმოების ეგზემპლარი ბენეფიციარის პირადი გამოყენებისთვის, ან შეუძლია სხვაგვარად დაეხმაროს ბენეფიციარს მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების დამზადებასა და გამოყენებაში, თუ ბენეფიციარს კანონიერი წვდომა გააჩნია ამ ნაწარმოებთან ან ამ ნაწარმოების ეგზემპლართან.

3. ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეასრულოს მე-4 მუხლის პირველი პუნქტი, საავტორო უფლებების მარეგულირებელ თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სხვა შეზღუდვების ან გამონაკლისების გათვალისწინების გზით, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად.⁴

⁴ შეთანხმებული განცხადება მე-4 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ წინამდებარე პუნქტი არც ზღუდავს და არც აფართოვებს ბერნის კონვენციით გათვალისწინებული შეზღუდვებისა ან გამონაკლისების მოქმედების სფეროს თარგმნის

4. ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებისა ან გამონაკლისების გამოყენება შემოფარგლოს მხოლოდ იმ ნაწარმოებებით, რომელთა კონკრეტულ მისაწვდომ ფორმატში მოპოვება მის ბაზარზე შეუძლებელია კომერციული გზით, ბენეფიციარებისთვის გონივრული პირობებით. თითოეული ხელშემკვრელი მხარე, რომელმაც ისარგებლა ამ შესაძლებლობით, აღნიშნულის შესახებ მიუთითებს ისმო-ს გენერალური დირექტორისთვის შესანახად გადაცემულ შეტყობინებაში, წინამდებარე ხელშეკრულების რატიფიცირების, დამტკიცების ან მასთან შეერთების მომენტში, ან შემდგომში ნებისმიერ დროს.⁵

5. წინამდებარე მუხლის შესაბამისად შეზღუდვების ან გამონაკლისების გამოყენების შემთხვევაში საფასურის გადახდის აუცილებლობა განისაზღვრება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

მუხლი 5

მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების ტრანსსასაზღვრო გაცვლა

1. ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ, რომ თუ მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარი დამზადებულია შეზღუდვის ან გამონაკლისის შესაბამისად, ან კანონის საფუძველზე, ეს მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარი შეიძლება გაავრცელოს ან ხელმისაწვდომი გახადოს უფლებამოსილმა ორგანომ ბენეფიციარისთვის ან უფლებამოსილი ორგანოსთვის სხვა ხელშემკვრელ მხარეში.⁶

2. ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეასრულოს მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, საავტორო უფლებების მარეგულირებელ თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შემდეგი შეზღუდვის ან გამონაკლისის გათვალისწინების გზით:

(a) უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე გაავრცელონ ან გადასცენ ეგზემპლარები მისაწვდომ ფორმატში უფლებამოსილ ორგანოს სხვა ხელშემკვრელ მხარეში, ბენეფიციართა ექსკლუზიური გამოყენებისთვის; და

(b) უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, საავტორო უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე და მე-2 მუხლის „c“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაავრცელონ ან გადასცენ ეგზემპლარები მისაწვდომ ფორმატში სხვა ხელშემკვრელ მხარეში მყოფ ბენეფიციარს;

უფლებასთან დაკავშირებით, მხედველობადაქვეითებული ან ბეჭდური ნაწარმოების გაცნობის შესაძლებლობის სხვაგვარი შეზღუდვის მქონე პირებთან მიმართებით.

⁵ შეთანხმებული განცხადება მე-4 მუხლის მე-4 პუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ კომერციული გზით მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნა ვერ იქნება წინასწარ განმსაზღვრელი იმისა, შესაბამისობაშია თუ არა ამ მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვა ან გამონაკლისი სამსაფეხურიან შემოწმებასთან.

⁶ შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არანაირად არ ზღუდავს ან არ აფართოებს ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსკლუზიური უფლებების მოქმედების ფარგლებს.

იმ პირობით, თუ გავრცელებამდე ან გადაცემამდე თავდაპირველმა უფლებამოსილმა ორგანომ არ იცოდა, ან არ ჰქონდა გონივრული საფუძველი სცოდნოდა, რომ ეგზემპლარი მისაწვდომ ფორმატში გამოყენებულ იქნებოდა არა-ბენეფიციარებისთვის.⁷

3. ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია შეასრულოს მე-5 მუხლის პირველი პუნქტი, საავტორო უფლებების მარეგულირებელ თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში სხვა შეზღუდვების ან გამონაკლისების გათვალისწინების გზით, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად.

4. (a) თუ ხელშემკვრელი მხარის უფლებამოსილი ორგანო მიიღებს ეგზემპლარებს მისაწვდომ ფორმატში მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და ამ ხელშემკვრელ მხარეს არ ექნება ბერნის კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, ის თავისი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ მისაწვდომ ფორმატში ეგზემპლარების კვლავწარმოება, გავრცელება ან მიწოდება ხდებოდეს მხოლოდ ბენეფიციარებისთვის, ამ ხელშემკვრელი მხარის იურისდიქციის ფარგლებში.

(b) უფლებამოსილი ორგანოს მიერ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების გავრცელება და მიწოდება შემოიფარგლება ხელშემკვრელი მხარის იურისდიქციით, თუ ეს ხელშემკვრელი მხარე არ წარმოადგენს საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მხარეს, ან, წინამდებარე ხელშეკრულების განხორციელებისას, სხვაგვარად არ ზღუდავს შეზღუდვებისა და გამონაკლისების მოქმედებას გავრცელების უფლებასთან და საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის უფლებასთან მიმართებით გარკვეული კონკრეტული შემთხვევებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და არაგონივრულ ზიანს არ აყენებს უფლების მფლობელთა კანონიერ ინტერესებს.^{8,9}

(c) წინამდებარე მუხლი ზემოქმედებას არ ახდენს იმის განსაზღვრაზე, თუ რა წარმოადგენს გავრცელების აქტს, ან საჯარო ხელმისაწვდომობის აქტს.

5. წინამდებარე ხელშეკრულება არ უნდა იქნას გამოყენებული უფლებების ამოწურვის საკითხის გადასაწყვეტად.

⁷ შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების გავრცელებისა ან უშუალოდ ბენეფიციარისთვის გადასაცემად, შესაძლებელია უფლებამოსილი ორგანოსთვის მიზანშეწონილი იყოს დამატებითი ზომების მიღება იმის დასადასტურებლად, რომ პირი, რომელსაც ის ემსახურება, წარმოადგენს ბენეფიციარს და საკუთარი პრაქტიკის შესაბამისად მოქმედებს, როგორც ეს მითითებულია მე-2 მუხლის „c“ ქვეპუნქტში.

⁸ შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „b“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არანაირად არ მოითხოვს ან ითვალისწინებს სამსაფეხურიანი შემოწმების გამოყენებას, რაც სცილდება წინამდებარე დოკუმენტით ან სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს.

⁹ შეთანხმებული განცხადება მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის „b“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ წინამდებარე ხელშეკრულება არ ქმნის არანაირ ვალდებულებას ხელშემკვრელი მხარისთვის, რათა მან მოახდინოს საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების (WCT) რატიფიცირება ან მასთან შეერთება ან შეასრულოს მისი რომელიმე დებულება, ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულება არანაირ ზემოქმედებას არ ახდენს ისმო-ს ხელშეკრულებით (WCT) გათვალისწინებულ უფლებებზე, შეზღუდვებსა და გამონაკლისებზე.

მუხლი 6

მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების იმპორტი

თუ ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ნებას რთავს ბენეფიციარს, მისი სახელით მოქმედ პირს ან უფლებამოსილ ორგანოს, დაამზადოს ნაწარმოების ეგზემპლარები მისაწვდომ ფორმატში, ამ ხელშემკვერელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მათ ასევე ექნებათ მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების იმპორტის უფლება ბენეფიციარებისთვის, უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე.¹⁰

მუხლი 7

ტექნოლოგიურ ზომებთან დაკავშირებული ვალდებულებები

ხელშემკვერელი მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღებენ შესაბამის ზომებს, რათა იმ შემთხვევაში, თუ ისინი უზრუნველყოფენ ადეკვატურ სამართლებრივ დაცვას და ეფექტიანი ტექნიკური ზომების თავიდან აცილების წინააღმდეგ მიმართული სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებებს, ამგვარი სამართლებრივი დაცვა ხელს არ უშლიდეს ბენეფიციარებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებითა და გამონაკლისებით სარგებლობაში.¹¹

მუხლი 8

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და გამონაკლისების განხორციელებისას ხელშემკვერელი მხარეები ბენეფიციართა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას დაიცავენ სხვა პირებთან თანაბრად.

¹⁰ შეთანხმებული განცხადება მე-6 მუხლთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ მე-6 მუხლის შესაბამისად თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, ხელშემკვერელი მხარეები სარგებლობენ ისეთივე ფლექსიური შესაძლებლობებით, როგორც გათვალისწინებულია მე-4 მუხლით.

¹¹ შეთანხმებული განცხადება მე-7 მუხლთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ უფლებამოსილი ორგანოები, სხვადასხვა გარემოებებში, იყენებენ ტექნოლოგიურ ზომებს მისაწვდომ ფორმატში ეგზემპლარების დამზადების, გავრცელების და მიწოდების პროცესში, და წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთი პუნქტი არ ეწინააღმდეგება ამგვარ პრაქტიკას თუ ის შესაბამისობაშია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან.

მუხლი 9

თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო გაცვლების ხელშეწყობის მიზნით

1. ხელშემკვრელი მხარეები შეეცდებიან, ხელი შეუწყონ მისაწვდომი ფორმატის ასლების ტრანსსასაზღვრო გაცვლას ნაწარმოების ნებაყოფლობითი გაზიარების წახალისების გზით, რაც უფლებამოსილ ორგანოებს დაეხმარება ერთმანეთის იდენტიფიცირებაში. ისმო-ს საერთაშორისო ბიურო ამ მიზნით შექმნის საინფორმაციო პუნქტს.
2. ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დახმარება გაუწიონ თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ საქმიანობას, რათა მათ წარადგინონ ინფორმაცია თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის შესახებ მე-2 მუხლის „c“ ქვეპუნქტის შესაბამისად, როგორც უფლებამოსილ ორგანოებს შორის ნაწარმოების გაზიარების, ისე თავიანთი პოლიტიკისა და პრაქტიკის, მათ შორის, მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების ტრანსსასაზღვრო გაცვლის შესახებ ნაწარმოების მიწოდების გზით დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისთვის, არსებული გარემოებების შესაბამისად.
3. ისმო-ს საერთაშორისო ბიუროს მიმართ არსებობს თხოვნა, გააზიაროს ინფორმაცია, სადაც ეს შესაძლებელია, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შესახებ.
4. ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ საერთაშორისო თანამშრომლობისა და მისი ხელშეწყობის მნიშვნელობას ეროვნული ძალისხმევის მხარდასაჭერად, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების მიზნისა და ამოცანების რეალიზაციისკენ არის მიმართული.¹²

მუხლი 10

განხორციელების ზოგადი პრინციპები

1. ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ აუცილებელი ზომები წინამდებარე ხელშეკრულების გამოყენების უზრუნველსაყოფად.
2. ვერაფერი შეუძლის ხელს ხელშემკვრელ მხარეებს, განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა განხორციელების შესაბამისი მეთოდი თავიანთი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში.¹³

¹² შეთანხმებული განცხადება მე-9 მუხლთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ მე-9 მუხლი არ ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოების სავალდებულო რეგისტრაციას და არ წარმოადგენს წინაპირობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობაში უფლებამოსილი ორგანოების მონაწილეობისთვის. თუმცა, ის ითვალისწინებს ნაწარმოების გაზიარების შესაძლებლობას მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარების ტრანსსასაზღვრო გაცვლის ხელშეწყობის მიზნით.

¹³ შეთანხმებული განცხადება მე-10 მუხლის მე-2 პუნქტთან დაკავშირებით: იგულისხმება, რომ როდესაც ნაწარმოები შედის მე-2 მუხლის „a“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კატეგორიაში, მათ შორის, ნაწარმოებები აუდიო ფორმატში, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვები და გამონაკლისები, სათანადო ცვლილებებით, გამოიყენება მომიჯნავე უფლებებთან მიმართებით, რამდენადაც ეს აუცილებელია მისაწვდომი ფორმატის ეგზემპლარის დასამზადებლად, გასავრცელებლად და ბენეფიციარებისთვის მისაწოდებლად.

3. ხელშემკვრელ მხარეებს შეუძლიათ განახორციელონ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავიანთი უფლებები და ვალდებულებები სპეციალურად ბენეფიციარებისთვის დადგენილი შეზღუდვების ან გამონაკლისების, ასევე სხვა შეზღუდვების ან გამონაკლისების მეშვეობით, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემისა და პრაქტიკის ფარგლებში. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ბენეფიციართა ინტერესებისთვის შემუშავებულ სასამართლო, ადმინისტრაციულ ან მარეგულირებელ განსაზღვრებებს, რომლებიც შეეხება კეთილსინდისიერ პრაქტიკას, გარიგებებს ან გამოყენებას, მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ხელშემკვრელ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შესაბამისად, რომლებიც შეესაბამება ბერნის კონვენციას, სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს და მე-11 მუხლს.

მუხლი 11

ზოგადი ვალდებულებები შეზღუდვებთან და გამონაკლისებთან მიმართებით

წინამდებარე ხელშეკრულებების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომების მიღებისას ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განახორციელოს უფლებები და შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც ამ ხელშემკვრელ მხარეს გააჩნია ბერნის კონვენციის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებისა და საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების, მათ შორის, მათი განმარტებითი შეთანხმებების შესაბამისად, რათა:

(a) ბერნის კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელ მხარეს შეეძლოს ნებართვის გაცემა ნაწარმოებების კვლავწარმოებაზე გარკვეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, იმ პირობით, თუ ამგვარი კვლავწარმოება ხელს არ შეუშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ შელახავს ავტორის ლეგიტიმურ ინტერესებს;

(b) ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების მე-13 მუხლის შესაბამისად, ხელშემკვრელმა მხარემ ექსკლუზიურ უფლებებთან მიმართებით არსებული შეზღუდვების ან გამონაკლისების მოქმედება შემოფარგლოს გარკვეული განსაკუთრებული შემთხვევებით, რომლებიც ხელს არ უშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს უფლების მფლობელის ლეგიტიმურ ინტერესებს;

(c) საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელ მხარეს შეეძლოს შეზღუდვების ან გამონაკლისების გათვალისწინება იმ უფლებებთან მიმართებით, რომლებიც ავტორებს ენიჭება ისმო-ს ხელშეკრულების ფარგლებში, ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში, და რომლებიც ხელს არ უშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის ლეგიტიმურ ინტერესებს;

(d) საავტორო უფლების შესახებ ისმო-ს ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხელშემკვრელმა მხარემ, ბერნის კონვენციის გამოყენებისას, უფლებებთან მიმართებით არსებული შეზღუდვების ან გამონაკლისების მოქმედება შემოფარგლოს გარკვეული განსაკუთრებული შემთხვევებით, რომლებიც ხელს არ უშლის ნაწარმოების ნორმალურ გამოყენებას და უსაფუძვლოდ არ ლახავს ავტორის ლეგიტიმურ ინტერესებს.

მუხლი 12

სხვა შეზღუდვები და გამონაკლისები

1. ხელშემკვრელი მხარეები აღიარებენ, რომ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გაითვალისწინოს სხვა შეზღუდვები და გამონაკლისები საავტორო უფლებებთან მიმართებით, და არა ის, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით, ამ ხელშემკვრელი მხარის ეკონომიკური მდგომარეობისა და მისი სოციალური და კულტურული საჭიროებების გათვალისწინებით, ამ ხელშემკვრელი მხარის საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების შესაბამისად - ხოლო ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნის შემთხვევაში - მისი განსაკუთრებული საჭიროებებისა და განსაკუთრებული საერთაშორისო უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე მოქნილი შესაძლებლობების გათვალისწინებით.
2. წინამდებარე ხელშეკრულება ზიანს არ აყენებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შეზღუდვებსა და გამონაკლისებს.

მუხლი 13

ასამბლეა

1. (a) ხელშემკვრელი მხარეები აფუძნებენ ასამბლეას;
 - (b) თითოეული ხელშემკვრელი მხარე ასამბლეაში წარმოდგენილი იქნება ერთი დელეგატით, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მრჩეველები და ექსპერტები;
 - (c) თითოეული დელეგაციის ხარჯებს ფარავს ის ხელშემკვრელი მხარე, რომელმაც დანიშნა დელეგაცია. ასამბლეამ შეიძლება ფინანსური დახმარების თხოვნით მიმართოს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას, რათა ხელი შეუწყოს იმ ხელშემკვრელ მხარეთა დელეგაციების მონაწილეობას, რომლებიც განიხილება, როგორც განვითარებადი ქვეყნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, ან რომლებიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მყოფ ქვეყნებს.
2. (a) ასამბლეა განიხილავს საკითხებს, რომლებიც შეეხება წინამდებარე ხელშეკრულების შენარჩუნებასა და განვითარებას, გამოყენებასა და ფუნქციონირებას;
 - (b) ასამბლეა ასრულებს მე-15 მუხლის შესაბამისად მისთვის დაკისრებულ ფუნქციას, რომელიც შეეხება ზოგიერთი მთავრობათაშორისი ორგანიზაციის დაშვებას, გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მხარე;
 - (c) ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ნებისმიერი დიპლომატიური კონფერენციის მოწვევის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების გადასინჯვის მიზნით და აძლევს აუცილებელ მითითებებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს, მოამზადოს ამგვარი დიპლომატიური კონფერენცია.
3. (a) თითოეულ ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს, აქვს ერთი ხმა და ხმას აძლევს მხოლოდ საკუთარი სახელით;

(ბ) ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს, რომელიც წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში თავისი წევრი სახელმწიფოების ნაცვლად, იმდენივე ხმით, რამდენი წევრი სახელმწიფოცაა ამ ორგანიზაციაში, რომლებიც არიან წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები. არც ერთი ასეთი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია არ მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, თუ მისი რომელიმე წევრი სახელმწიფო იყენებს ხმის მიცემის უფლებას და პირიქით.

4. ასამბლეა იკრიბება გენერალური დირექტორის მოწვევით და, განსაკუთრებული გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, იმავე პერიოდში და იმავე ადგილას, სადაც ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

5. ასამბლეა შეეცდება მიიღოს გადაწყვეტილებები კონსენსუსის გზით და შეიმუშავებს თავის საპროცედურო წესებს, მათ შორის, რიგგარეშე სესიების მოწვევასთან, კვორუმის მოთხოვნებთან და, წინამდებარე ხელშეკრულების დებულებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების უმრავლესობასთან მიმართებით.

მუხლი 14

საერთაშორისო ბიურო

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო ბიურო შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

მუხლი 15

ხელშეკრულების მხარედ გახდომის უფლებამოსილება

1. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ნებისმიერი წევრი სახელმწიფო შეიძლება გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მხარე.

2. ასამბლევამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერი იმ მთავრობათაშორისი ორგანიზაციის წინამდებარე ხელშეკრულების მხარედ დაშვების შესახებ, რომელიც აცხადებს, რომ კომპეტენტურია და აქვს თავისი წევრი ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულო კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებს, და რომ იგი სათანადოდ უფლებამოსილია თავისი შიდა პროცედურების შესაბამისად, გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მხარე.

3. წინამდებარე ხელშეკრულების მხარე შეიძლება გახდეს ევროკავშირი, თუ ის გააკეთებს წინა პუნქტში მითითებულ განცხადებას დიპლომატიურ კონფერენციაზე, რომელმაც მიიღო ეს ხელშეკრულება.

მუხლი 16

ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები

ამ ხელშეკრულების საპირისპირო ნებისმიერი სპეციალური დებულების გათვალისწინებით, თითოეული ხელშემკვრელი მხარე ისარგებლებს ყველა უფლებით და იკისრებს ყველა ვალდებულებას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

მუხლი 17

ხელშეკრულების ხელმოწერა

წინამდებარე ხელშეკრულება ღიაა ნებისმიერი უფლებამოსილი მხარის მიერ ხელმოსაწერად, დიპლომატიურ კონფერენციაზე მარაკეში, და ამის შემდგომ, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, მისი მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში.

მუხლი 18

ხელშეკრულების ძალაში შესვლა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც მე-15 მუხლში მითითებული 20 უფლებამოსილი მხარე შესანახად გადასცემს სარატიფიკაციო ან შეერთების შესახებ დოკუმენტებს.

მუხლი 19

ხელშეკრულების მხარედ გახდომის ძალაში შესვლის თარიღი

წინამდებარე ხელშეკრულება სავალდებულოა:

- (a) მე-18 მუხლში მითითებული 20 უფლებამოსილი მხარისთვის - წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან;
- (b) მე-15 მუხლში მითითებული თითოეული სხვა უფლებამოსილი მხარისთვის - სამი თვის შემდეგ იმ დღიდან, რაც მან ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს შესანახად გადასცა თავისი სარატიფიკაციო ან შეერთების შესახებ დოკუმენტი.

მუხლი 20

ხელშეკრულების დენონსაცია

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება დაექვემდებაროს დენონსაციას ნებისმიერი ხელშეკრული მხარის მიერ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორისთვის გაგზავნილი შეტყობინების გზით. ყოველი დენონსაცია ძალაში შედის ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მიერ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

მუხლი 21

ხელშეკრულების ენები

1. წინამდებარე ხელშეკრულება ხელმოწერილია ერთ დედნად ინგლისურ, არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე. ყველა ამ ენაზე შესრულებული ტექსტი თანაბრად ავთენტურია.
2. ოფიციალურ ტექსტს ნებისმიერ ენაზე, გარდა 21-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულისა, ამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი, დაინტერესებული მხარის თხოვნით, ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის შემდეგ. ამ პუნქტის მიზნებისათვის, „დაინტერესებული მხარე“ ნიშნავს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, თუ გამოყენებულია მისი ოფიციალური ენა ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა, და ევროკავშირს და ნებისმიერი სხვა მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელიც შეიძლება გახდეს წინამდებარე ხელშეკრულების მხარე, თუ გამოყენებულია მისი ერთ-ერთი ოფიციალური ენა.

მუხლი 22

დეპოზიტარი

წინამდებარე ხელშეკრულების დეპოზიტარს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი.

შესრულებულია მარაკეშში, 2013 წლის 27 ივნისს.

[დოკუმენტის დასასრული]

